**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — | კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 | ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 | ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — | ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 | ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 | ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — | ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 | ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 | ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 | ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 | ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 | ,, |

# ივერია

№ 246 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 246

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



## გაზეთი „ივერია“

1-ლ ნომრებიდგან წლის დამლევამდე ჰღირს **2** მან. **75** კაპ. სოფლის მასწავლებელთა და ხელოსანთათვის,—1 მან. 50 კაპ.

---

## ტფილისის საკრებულო

(სობრანიე)

ოთხშაბათს, 30 ოკდომბერს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ დასის-მიერ ქართულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოების სასარგებლოდ, წარმოდგენილი იქმნება

I

**პედაგოგები**

კომედია 3 მოქმ., თხზ. ერნსტისა, თარგ. დ. ნახუცრიშვილისა.

II

**დარისპანის გასაჭირი**

სცენები 1 მოქმ. თხზ. დ. კლდიაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

**დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება **წარმოსადგენად**: «იულიოს კეისარი», «ღალატი» და სხვ.

ამხანაგობის დირექცია.

მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

ხუთშაბათს, 28 ოკდომბერს,

პეტროვა-ზვანცევის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

**უკანასკნელად**

**ვ ე რ ტ ე რ ი**

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა მასსნესი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

---

პარასკევს, 29 ოკდომბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

**ნ ე რ ო ნ ი**

მუსიკა რუბინშტეინისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად «M-lle **ფიფი**», 1 მოქმ., მუსიკა ც. კიუისა; ამ ოპერასთან ერთად წარმოდგენილი იქმნება «სევილიელი დალაქი».

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელდერი.

---

იბეჭდება და ნოემბერში გამოვა

ახალი საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული“

მოზრდილ და მცირე-წლოვან ყრმათათვის, თვეში სამი წიგნი—ორი მცირე წლოვანთათვის და ერთიც მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით. წელიწადი—1-ლ ნოემბრიდგან 1-ლ ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: მთელის წლით ერთად ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ-ცალკე—3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა.

გამომცემელი ჟურნალისა
კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

**ადრესი**: Тифлисъ, Редакція «НАКАДУЛИ».

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

---

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

---

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

---

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოხუბეის ქუჩა, № 19.

---

**ვაჩაძე სპირიდონ**. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

---

**დიასამიძე ალექსანდრე**,—დორისმელნიკოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი**. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი**. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი**. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი**. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი**. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი**. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზხერბინინა**. $1\frac{1}{2}$—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ვ. ა. თარხანოვი**. $7\frac{1}{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი**. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 7 საათ.

**ს. ტ. არშანიტაკი**. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

## სამკერვალო

**ქალთა ტანისამოსისა.**

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

**შ ე ს ა კ ე რ ა დ**

**ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ანა მერკვილაძისა.**


---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

---

**ჩრდილოეთ ზღვაზე მომხდარი უბედურება.** როგორც ვიცით, ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარი ინციდენტი [illegible] გლისი შეთანხმდნენ, რომ ეს შემთხვევა გამოიძიოს განსაკუთრებულმა კომისიამ, რომლის წევრებათაც იქმნებიან წარმომადგენელნი რუსეთისა, ინგლისისა, შეერთებულ შტატებისა და საფრანგეთისა. ამ კომისიას მინდობილი აქვს გამოირკვიოს მხოლოდ ვითარება საქმისა, გარდაწყვეტა მისი კი გარემოებაზედაა, დამოკიდებული. თანამშრომელს გაზეთ „მოსკოვსკი ლისტოკ»-ისას მოჰყავს აზრი გამოჩენილის პროფესორის მარტენსისა. პროფესორის აზრით, ხსენებულ კომისიის დანიშნულებას შეადგენს მხოლოდ გამოძიება. უკეთუ მის მიერ აღმოჩენილი ფაქტები საკმარისი გამოდგება, რომ ორივე მხარე ერთს გადაწყვეტილებაზედ მივიდეს და დასთანხმდეს, ხომ რა კარგი; თუ არა და, ეს საგანი უნდა გარდასცენ ჰააგის სამედიატორო სასამართლოს, რომლის მსჯავრიც უთქმელად სავალდებულოა მოწინააღმდეგეთათვის. ყველა ამას მომეტებული დრო მოუნდება, ვიდრე ათი დღე, რომელიც ვადად დაუდვეს კომისიას. უნდა გასინჯონ ის ადგილი, სადაც მოჰხდა უბედურება, შესაძლოა წყალში ჩასვლა დასჭირდეთ ზღვის ძირის დასათვალიერებლად, გამოჰკითხონ მოწმეებს, თვით დაზარალებულთ, აგრედვე მოიწვიონ ექსპერტები და სხვანი. ადმირალი როჟესტვენსკი თავისი ესკადრით ვერ გაჩერდება ევროპაში და ვერ მოუცდის საქმის გათავებას. იგი გზაში იქმნება და, მაშასადამე, კითხვები, რომელსაც დააყენებს კომისია, უნდა გარდაეცეს ადმირალს დეპეშით და უნდა მოუცადონ, ვიდრე მის პასუხს მიიღებენ. ამ სახით საქმე გაჭინურდება. მოჰყავს რა ეს ცნობა გაზეთ «ნოვოე ვრემიას», მწუხარებით შეჰნიშნავს, რომ, რაკი ასეთს მიმართულებას მიიღებს საქმე, ძალიან საეჭვოა, რომ გამოძიებამ არ დააბრკოლოს ადმირალი როჟესტვენსკი და არ შეაჩეროს ჩვენი ესკადრაო. (ნოვ. ვრ.).

---

**რუსის ფლოტის გაძლიერება.** ხმა დადის, ვითომც რუსის საზღვაო მთავრობას გარდაეწყვიტოს ოთხას მილიონ მანეთის გადადება ფლოტის გასაძლიერებლად. გაზეთ „რუსსკია ვედომოსტ“-ის საზღვაო მიმომხილველი ბ-ნი ვ. მ. ჰფიქრობს, რომ ეხლა ვერც ეს ამოდენა ფული მოგვცემს იმ ძლიერებას, რომლითაც ჩვენ მოვახერხებდეთ დაწინაურებულ საზღვაო სახელმწიფოებთან დაპირდაპირებასო. პირველი ესაა, რომ ჩვენ შეგვიძლიან შეუკვეთოთ ჯავშნიან გემების გაკეთება მხოლოდ გერმანიას, რომელსაც ეხლა იმოდენი საქმე აქვს შეკვეთილი თავისის მთავრობისაგან თუ სხვებისაგან, რომ ჩვენს საქმეს მოანდომებს მხოლოდ თავისუფალ დროს. ესეც რომ არ იყოს და მარტო ჩვენის გემების გაკეთება იკისროს, მაინც ჯავშნიან გემებსა და კრეისერებს შევუკვეთავთ მხოლოდ მერმისს. დიდი ამბავი იქმნება, რომ ჩვენი საქმე შეასრულოს ხუთის წლის განმავლობაში. მაშასადამე, შეკვეთილ გემებს ჩვენ ჩაგვაბარებს მხოლოდ 1909 წელს და, მანამდე კი სხვა სახელმწიფოები მოასწრობენ გაცილებით მომეტებულ გემების დამზადებას. ამ სახით, ჩვენ მაინც უკან ჩამოვრჩებით ყველას და ვერ მოვახერხებთ შევუფარდოთ ჩვენი საზღვაო ძლიერება დაწინაურებულ სახელმწიფოებსაო. (რუს. ვედ.).

---

**წვრილი ამბები.** «დეილი ტელეგრაფი» ამბობს, რომ ბრიტანიის მთავრობა ლონის-ძიებას ხმარობს იმ შემთხვევისათვის, თუ რუსეთის ესკადრამ კვლავ მოინდომა ალყა გაარღვიოს და გაშლილ ზღვაში გავიდეს. გადაწყვეტილია, რომ უსათუოდ დააბრკოლონ და არ შეუშვან ვეიჰაივეის თავ-შესაფარებლადაო. (რ. ვ.).

---

«დეილი მეილის» სიტყვით, რუსთა ესკადრის ერთმა აფიცერმა სთქვა, რაც უნდა გადასწყვიტოს კონფერენციამ ჩრდილოზღვაში მომხდარ ინციდენტის გამო, ეგ ჩვენთვის სულ ერთიაო. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ნაღმოსანმა მოიტანა ჩვენზედ იერიში და ისეთის მოხერხებით იქცეოდა, რომ მეთევზეთა ფლოტილია გეგონებოდა. პეტერბურგში თანახმანი არიან, რომ ეს საქმე სწორედ ასე იყო, როგორც ჩვენ ვამტკიცებთ. გვეცოდებიან უბრალოდ დაზარალებულნი მეთევზენი, მაგრამ რა ვუყოთ, ჩვენ იმათ დავაჯილდოვებთ და აღვუდგენთ ზარალს. რაც უნდა ეცადოს საერთა-შორისო კომისია, რუსნი არ დასთანხმდებიან, რომ გადახდეთ იმ აფიცრებს, რომელთაც თავიანთი მოვალეობა აღასრულეს. (რ. ვ.).

---

გაზ. „რუსსა“ სწერენ დეპეშით მუკდენიდან: იაპონელთ მალე მიუვათ 40—60 ათასი მაშველი ჯარი. ეს გარემოება გაგვიძნელებს ჩვენ საქმეს, თუ ჩვენც მალე არ მოგვესწრო მაშველი ჯარი. ჯერ მაშინაც კი გაჭირდება საქმე მთავარ სარდლისათვის. იაპონელებმა ააგეს მაგარი საფარსანგრები და მათი დაძლევა ძალიან გაჭირდება, თითქმის შეუძლებელია. ახლანდელნი სიმაგრენი, რომელთაც მხარს უჭერს შორს მანძილზე მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნები და თოფები, ძნელი ასაღებია. მხოლოდ გარ-შემოვლით შეიძლება აიძულო თხრილებიდან გამოვიდეს მტერი. ხოლო ამისათვის ფრიად საჭიროა რიცხვით სჭარბობდე. შუაგულსაც უნდა იდგნენ იმდენივე ჯარები, რამდენიც იაპონელთა ჰყავთ, რათა არ შესძლონ და არ გაარღვიონ გული ლაშქრისა. (რ. ვ.).

---

ადმირალი ფრიმენტალი იმ აზრისაა, რომ ჩრდილო ზღვის ინციდენტი ჯერ სრულიადაც არ არის დასრულებულიო. სასიამოვნოა, რომ ინგლისის მიერ დაწყებული საომრად მზადება ჯერაც არ შეწყვეტილა. ჩემის აზრით, ინგლისი მანამ არ დამშვიდდება. სანამ ადმირალს როჟდენსტვენსკის არ შეიპყრობენ, სანამ დამნაშავე დასჯილი არ იქმნება და ინგლისის ყველა მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენო. (რუსი).

---

## ახალი ამბავი

---

**მისი უმაღლესობა.** დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ტფილისიდგან გაემგზავრება 31 ოკდომბერს, კვირას. მისი უმაღლესობა საქართველოს სამხედრო გზით წაბრძანდა კავკავს, სადაც დაესწრება კავკავისკადეტთა კორპუსის ეკლესიის კურთხევას.

*** **ქალაქის მიწების იჯარით გაცემა.** დღეს, 28 ოკდომბერს, სხდომა ექნება საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის მიწების იჯარით გაცემის საქმე. კომისიამ უნდა განიხილოს საგანი ქალაქის მიწების კერძო კაცებზედ იჯარით გაცემის თაობაზედ. ბევრს მიუცია კომისიისათვის თხოვნა ამის შესახებ. კომისიამ, ამას გარდა, უნდა განიხილოს რამდენიმე მიმდინარე საქმეცა.

*** **მოქალაქეთა გამგეობის მსახურთა საქმე.** 25 ოკდომბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფ. მოქალაქეთა საზოგადოების გამგეობის მამასახლისად ნამყოფის ის. ივ. აბრამოვისა, ამავე საზოგადოების გამგეობის საქმის მწარმოებლად ნამყოფის ნიკ. არტ. რევაზოვისა და გადამწერელის დიმ. კულიშჩოვისა, რომელთაც სამსახურის აღსრულების დროს ბოროტ-მოქმედებათა ჩადენა ჰბრალდებოდათ. ოლქის სასამართლომ გუშინ-წინ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ყველა ბრალდებულნი გამარ- [illegible]

*** **ქალაქის გამგეობის წევრს ტ. ა.** ენფიანჯიანცს სამსახურის ვადა უთავდება მომავალ 1905 წლის 8 იანვარს. სხვა და სხვა ჯგუფნი ამ თანამდებობაზედ კანდიდატებად ასახელებენ ტ. ა. ენფიანჯიანცსა, ა. ი. ხატისოვსა და ს. ზ. მირზოევს.

*** **ხელმწიფეს წარუდგნენ:** კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, მილიციის პრაპორშჩიკი თავ. სვ. წერეთელი—ორივე ორშაბათს, 18 ოკდომბერს.

*** **ომში დაჭრილნი.** 6 ოკდომბერს ომში დაჭრილა, სხვათა შორის, ბუზულუკის ძე-215 ქვეითა პოლკის უფროსი, პოლკოვნიკი თავ. გიორგი დავითის ძე ამილახვარი, მაგრამ ჯარში დარჩენილა, და დაღესტნის მე-2 პოლკის ასის თავი ბენიამენ გიორგის ძე დოლიძე—მკერდში; ტყვია მაშინვე გამოვარდნილა.

*** **ჩელიაბინსკიდგან.** «გადავსცდით-რა ურალს, სალამს ვუძღვნით ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართა». ხელს აწერენ, სხვათა შორის, ფურცელაძე და ჩალიკიანი.

*** **ავაზაკობა და ძარცვა-გლეჯა ფოთში.** როგორც გვატყობინებენ, ფოთში საშინლად გავრცელებულა ავაზაკობა და ძარცვა-გლეჯა. 24 ოკდომბერს, მაგალითად, ხუთი ბერდანის თოფით შეიარაღებული ავაზაკი თავს დასხმია დილიჟანსს და ერთის მღვდლისათვის წაურთმევიათ ფულად 12 მან., საათი და ჯვარი; ყულევის ბოქაულისათვის, რომელიც დილიჟანში მჯდარა, წაურთმევიათ, როგორც ამბობენ, 250 მან., თელიას ნოქრისათვის წაურთმევიათ 100 მან., ერთ ჯარის კაცისათვის, რომელიც პოლკში მიდიოდა, 25 მან. წაურთმევიათ, მეორისათვის—30 მან., აგრედვე ნივთები. დილიჟნის ცხენები დამფრთხალან და დილიჟანი თხრილში ჩაუგდიათ, მაგრამ ავაზაკები მიშველებიან და ამოუთრევიათ. ავაზაკები მიიმალ-მოიმალნენ.

*** **ახალი წიგნი.** რედაქციას მოუვიდა ახალი ქართული წიგნაკი «ჯიბგირი ვარ» და სხვა რამდენიმე საოხუნჯო ლექსი, ანტონ განჯისკარელისა. ფასი 5 კაპ.

*** **სომხური ჟურნალი პარიჟში.** როგორც «ტფ. ფურ.»-ს პარიჟიდგან ატყობინებენ, ამ წლის დეკემბრიდგან იქ გამოვა ახალი სომხური ჟურნალი «კრუნკი» (წერო).

## ქუთაისის ახალი ამბები

**თავ. დ. ო. ნიჟარაძის საქმე.** როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, 25 ოკდომბერს ქუთაისის ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო გასარჩევად თავ. დ. ო. ნიჟარაძის საქმე, რომელსაც ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელთა შეურაცხყოფა ჰბრალდებოდა. თვითონ ბრალდებული არ გამოცხადებულა სასამართლოში. ბრალმდებლის ამხანაგს მოუთხოვნია სასტიკი სასჯელი იმის გამო, რომ თავ. ნიჟარაძე მაღალის ხარისხის მქონე კაცია, საპატიო თანამდებობა უჭირავს მაზრის მარშლისა და უფრო წინდახედულად უნდა მოქცეულიყოო. ოლქის სასამართლომ დაადგინა დაუსწრებელი განჩინება, რომლითაც თავ. დ. ო. ნიჟარაძე დამნაშავედ იცნო მთელის გიმნაზიის აღმზრდელთა შეურაცხყოფისათვის და გადაუწყვიტა 50 მანეთით დაჯარიმება, ხოლო კერძოდ მათემატიკის მასწავლებლის ბ-ნ ვეიბერგის შეურაცხყოფისათვის კი გაამართლა.

*** **იჯარით გაცემა სამოსახლო ადგილებისა.** ამ ოკდომბრის 10 რიცხვიდგან ქუთაისის ქალაქის გამგეობამ დაიწყო იჯარით გაცემა სამოსახლო ადგილებისა «საღორიის აგარაკში». გასაცემ ადგილების რიცხვი 300 აღემატებოდა. დანიშნულ დღეს ადგილობრივ მოვიდა ქალაქის გამგეობის წევრი და სხვა მოხელენი. რადგან უქმე დღე იყო, აუარებელს ხალხს მოეყარა თავი. ადგილის აღების მსურველნიც ბევრნი იყვნენ, როგორც სოფლიდგან, აგრეთვე ქალაქიდგან: მუშა ხალხი, ინტელიგენტი, მოხელე და ვაჭარი. უამინდობის გამო გამგეობის მოხელეებმა აჩვენეს ხალხს გასაცემი ადგილები და გამოუცხადეს, რომ ვაჭრობა დაიწყება დღესვე გამგეობის დარბაზში, სადაც ყველას შეუძლია გეგმაზედ მოისაზროს ადგილის მდებარეობაო. თვითეული ნაჭერი [illegible] 10 მანეთად; ვაჭრობაც ათი მანეთიგან იწყებოდა. თუმცა ხალხმა ადრიანად მოილაპარაკა, რომ ერთი მეორეს ნუ დავეჯიბრებით ვაჭრობაში და ნუ ავწევთ ფასებსაო, რადგან ყველას გასწვდება ადგილიო, მაგრამ ვინ დაიჯერა: ერთი მეორეს ინტერესით ათი მანეთიდგან 30—40—45 მანეთამდე ავიდნენ. ამ გარემოებამ გამოიწვია ღარიბ ხალხში ერთი აურზაური და ყვირილი: «საქენი შაურად, შაურად; არავინ მოუმატოთო!» წევრმა ზარის რაწკუნით გააჩუმა ხალხი და გამოაცხადა: «ქალაქის გამგეობას კომერცია აქვს აზრად და არა ღარიბ ხალხის დახმარება, რომ იაფად გავსცეთ ადგილებიო; ამისათვის ვსცდილობთ, რაც შეიძლება ძვირად გაიცეს ადგილები; ვისაც არ გნებავთ, ნუ მოუმატებთ და ნუ აიღებთო».

იმ დღეს გაიცა 7 სამოსახლო 30-დგან 45 მანეთამდე და გათავდა ვაჭრობა ხალხის უწესრიგობის გამო. მეორე დღიდგან ვაჭრობა დაიწყო თეატრის დარბაზში, სადაც უფრო წესიერება სუფევდა და ადგილების ფასმაც დაიწია 25—20 მანეთამდე.

აქვე უნდა მოვიხსენოთ ერთი არა სასიამოვნო გარემოება: ადგილების ამღებად გამოდიან შეძლებულნი მოქალაქენი და ვაჭრები, რომელნიც იღებენ 5—6 სამოსახლოს იჯარით და შემდეგ ჰყიდიან 200—250 მანეთად. მოგეხსენებათ, ეს კარგი მომგებიანი ხელობაა, რომელიც უშრომელად 1000 მანეთზედ მეტს აძლევს მოხერხებულ კაცს. თუმცა წელს, ქალაქის გამგეობის დადგენილებით, არავის ჰქონდა ნება ორის ნაკვეთის მეტი აეღო, მაგრამ არც ეს უნდა ჩავთვალოთ კანონიერად: უფრო რიგიანი იქნებოდა, რომ თვითეულს ერთ ნაკვეთზედ მეტი ჯერ არ მისცემოდა და, როდესაც ყველა დაკმაყოფილდებოდა, შემდეგ, ვისაც უნდოდა, იმას მეორეც აეღო, თუ გინდ ასი მანეთიც მიეცა.

პირობა შემდეგია: ქალაქი აძლევს მოიჯარადრეს პირობას 25 წლით; ყოველ 5 წლის შემდეგ 15 პროცენტს უმატებს ადგილის ბაჟს; ასე რომ, 20 მანეთად ვისაც დარჩა ადგილი, ის გადაიხდის 25 მ. წლის განმავლობაში 673 მანეთს და ვინც 30—40 აიღო, ის ხომ 1000 მანეთზედ მეტს გადაიხდის. 25 წლის შემდეგ, თუ გადასწყდა შესყიდვა ადგილებისა, თორემ ვინ იცის, რა იქნება. მაინც-და-მაინც არაფერი ხელ-საყრელია ღარიბ მუშა ხალხისათვის.

# საქართველო

**ქ. ოზურგეთი. გუბერნატორის ჩამოსვლა.—ქალაქის საჭიროოტო საქმენი.** 19 ოკდომბერს აქ მოვიდა ქუთაისის გუბერნატორი გენ.-მაიორი სმაგინი. მეორე დღეს მოხელეთა თანახლებით გუბერნატორმა დაათვალიერა ყველა ადგილობრივი სასწავლებლები და ამავე დღეს მოიარა რამდენიმე ახლო-მახლო სოფლები. 21-ს, ხელმწიფე იმპერატორის [illegible] მოედანზედ გარდახდილ პარაკლისს და ჯარს დღესასწაული მიულოცა. საღამოს რვა საათზე კი დაესწრო ქალაქის საბჭოს საგანგებო კრებას. ეს კრება იმან გამოიწვია, რომ როცა ქალაქის მოურავი გამოეცხადა გუბერნატორს, ამ უკანასკნელმა გამოჰკითხა ქალაქის ყოფამდგომარეობა და, როცა შეიტყო ქალაქის გაჭირვებული მდგომარეობა, საჭიროდ დაინახა ხმოსნებისათვის გამოეკითხა, თუ რა ღონის-ძიებას უნდა მიჰმართონ ქალაქის სასარგებლოდ. კრებას თითქმის ყველა ხმოსანი დაესწრო. გუბერნატორმა მიჰმართა ხმოსანთ სიტყვით ქალაქის საჭიროებათა გამოსარკვევად. წამოდგა ხმ. ბერიძე და შემდეგი საჭიროებანი ჩამოუთვალა ქალაქისთვის: 1) გადმოტანილ იქმნას სახელმწიფო «კაზნაჩეისტვო» (ხაზინა), 2) გადმოყვანილ იქმნას ადგილობრივ საცხოვრებლად ჯარის ერთი ბატალიონი, 3) დაბრუნებულ იქმნას ისევ გურიის «ლესნიჩი», რომელმაც, რაღაც მოსაზრებით, თავისი კანცელარია ქობულეთში გადაიტანა, 4) საჭიროა დაარსდეს სამეურნეო სასწავლებელი ან სხვა რამ სახელოსნო სკოლა, 5) მდ. ჟუჟზე უხიდობის გამო დიდ გაჭირვებაში არიან სოფლელნი, თვით ქალაქიც და გვიშუამდგომლეთ, რომ ხიდი გაკეთდეს, მდ. ჟუჟის ნაპირები ნატანებამდე ქალაქიდან რამდენისამე ვერსის ზევით გამაგრებულ იქმნას, რათა წყალდიდობის დროს ძველი კალაპოტი არ დასტოვოს და სოფლები და ქალაქები არ წალეკოსო და ამისთვის თქვენგან დახმარებას ვითხოვთო. თქვენგან ჩამოთვლილი საგნები,—ბრძანა გუბერნატორმა,—უსათუოდ საჭიროა ქალაქისათვის, მაგრამ ყველა მათი აღსრულება აქ ჟამად, ანუ შუამდგომლობა მათ შესახებ, შეუძლებელიაო. მაინც ვეცდები, «კაზნაჩეისტვო» იქმნას გადმოტანილი, თუ კი შესაძლებელი იქნებაო; მოვითხოვ, თუ «ლესნიჩი» რათ წავიდა აქედგან და, თუ მართლა საპატიო მიზეზი არ არის, ვეცდები ისევ დავაბრუნოო; მდ. ჟუჟის წინააღმდეგ ღონის ძიების მიღებაში დაგეხმარებით, რომ მოსალოდნელი უბედურება ავიცილოთ, რისთვისაც ტეხნიკს გამოვგზავნი, რომ გამოიკვლიოს, როგორ შეიძლება ნაპირების გამაგრებაო. რაც შეეხება ჯარის გადმოყვანას, ეს მე არ შემეხება, სამხედრო უწყების საქმეაო; დანარჩენებზე კი იმედს ვერაფერს მოგცემთ, მაგრამ მე მაინც მოწადინებული ვარ, ისეთი რა საშუალება გამოვნახოთ, რაიც ამ ხანად მაინც ქალაქს მოაღონიერებსო. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს ეს სიჩუმე დაარღვია ხმ. შავიშვილმა და შემდეგის სიტყვებით მიჰმართა გუბერნატორს: «ოზურგეთის ქალაქის მოვაჭრეთა გარდა, ქალაქს გარეთაც ბევრსა აქვთ სავაჭრო დუქნები; თითქმის იშვიათია ისეთი სოფელი, რომ ერთი და ორი დუქანი არ იყოსო. სოფლის ხალხი, რომელთაც ჩვენთან უნდა ევაჭრათ, უმეტესად იქ ვაჭრობენ და ამით ჩვენ გვაკლდება მუშტარი და ზარალში ვართ. ამიტომ დიდად საჭიროა ჩვენთვის (ოზურგეთის ვაჭრებისთვის) რომ ყველა ისინი, [illegible] ვაჭრობენ და დუქნები აქვთ, ოზურგეთის ქალაქს შემოუერთდნენ და აქ გადმოიტანონ თავიანთი სავაჭროები, სხვაგან კი ყველას აეკრძალოსო; მაშინ ყველა სოფლელი აქ ჩამოვა სავაჭროთა და ქალაქიც გამდიდრდებაო(?!). ამასთანაო—განაგრძო ხმოსანმა—დიდ ზარალში ვართ აქაური ვაჭრები იმ სავალდებულო დადგენილებით, რომლის ძალითაც კვირა უქმე დღეებში მაღაზიები იკეტება და სასურველია შეიცვლებოდეს, რის შემდეგაც ვაჭრობა მოგვემატება და ასე ღარიბად აღარ ვიქნებითო»! ამ „გასამდიდრებელ საშუალებათა“ პასუხად ის უთხრა ბ. გუბერნატორმა ხმოსანს, რომ ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს ვისმე სოფლად ვაჭრობა ავუკრძალოთო, ეს უკანონობა იქნებაო. რაც შეეხება კვირა უქმე დღეებში მაღაზიების დაკეტვას, ეს იმიტომ არის, რომ ნოქრებსაც საშუალება მიეცეს, კვირაში ერთ დღეს მაინც რამდენიმე საათი დაისვენონ. ნუ დაივიწყებთ, რომ, როგორც თქვენ, ვაჭრებს, გინდათ დასვენება, ისე თქვენს მოსამსახურეებსაც, და ამის შესახებ უკვე დადგენილ ვალდებულობის გაუქმება შეუძლებელიაო! ბოლოს ლაპარაკში ჩაერია ქალაქის ყოფილი მოურავი დ. ცეცხლაძეც და სთქვა: „კარგი იქნება, ქალაქს საკუთარ აფთიაქის დაარსების ნება მიეცემოდეს, რომელიც კარგ შემოსავალის მისცემს ქალაქსაო“. ეს წინადადება მოეწონა ბ. გუბერნატორს, მაგრამ ამასაც რამდენიმე მიზეზები გადაეღობა წინ და საბოლოოდ აღარ გადაუწყვეტიათ... კრებაც დაიშალა; გუბერნატორი წასვლის ხანს დაჰპირდა ხმოსნებს ყველაფერში თქვენი დამხმარე ვიქნები და ვეცდები შემწეობა აღმოგიჩინოთო.

22 ოკდომბერს თვით-მმართველობის ეზოში, გუბერნატორის ბრძანებით, შეიყარნენ ოზურგეთის მცხოვრებნი. გუბერნატორი შეეკითხა, თუ რამ გაქვთ სათხოვარი ან თუ რამე გესაჭიროებათო. ხალხმა კი იგივე თხოვნა განუმეორა, რაც ზევით მოვიხსენიეთ, მხოლოდ დაუმატა, რომ რადგან შეშის ბაჟი იქმნა მომატებული, მეშეშეებმაც შეშა ძალიან გააძვირეს, და თუ შეიძლება, ბაჟი მოკლებულ იქმნასო. ეს შეუძლებლად სცნო გუბერნატორმა. ვაჭრებმა თავის მხრივ სთხოვეს კვირა-უქმე დღეებში მაღაზიების დაკეტვის წესების შეცვლა, რაშიაც უარი მიიღეს. ბოლოს გუბერნატორმა საყვედურით მიჰმართა ხალხს, რომ ამ ბოლო დროს ბევრი ბოროტ-მოქმედება და უწესოება ხდება თქვენში, რაიცა სასურველია მოისპოს, სანამ არა სასურველ და სასტიკ ზომებს შემოვიღებდეთო.

ბ. გუბერნატორმა თითქმის ყველა გურიის სოფლები შემოიარა, სადაც ხალხს ეკითხებოდა, თუ რა ესაჭიროებოდა, რა ჰქონდა სათხოვარი და დარიგებას აძლევდა, მშვიდობიანად ეცხოვრათ, არაფერ ურიგობაში არ გარეულიყვნენ.

ამ დღეებში ოზურგეთში ჩამოვიდა ყაზახთა ცხენოსან ჯარის ერთი რაზმი (ასი კაცი), რომელიც კარგა ხანს დარჩება თურმე.

უსუფ-აღა

## ღია წერილი
### ბატონ ლუარსაბ ლოლუას

(„ჩვენს სასოფლო მეურნეობაზედ მე-II საუბრის“ გამო. «ივერია» № 235 და № 236“).

ბატონო ლუარსაბ! მართალია, ჯერ არც კი შეჰხებიხართ «ჩვენს სასოფლო მეურნეობას», მაგრამ, რადგანაც მოსალოდნელია, მეორე საუბარში ნათქვამი საფუძვლად დაედება სათქმელს, ამიტომ ნება მიბოძეთ, შეგეკითხოთ ზოგიერთი თქვენ მიერ ნათქვამის შესახებ მეორე საუბარში. ახლავე ვღვიარებ, რომ ჩემის შეკითხვის აზრი არის ჭეშმარიტების საყოველთაოდ გასაგებად განმარტება და არა რომელისამე განზრახვით პოლემიკის გამოწვევა. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ აგვიხსნათ და განგვიმარტოდ შემდეგი:

ა) რომელ სენზედ ბრძანებთ, თავიდან ვერ მოუშორებია ქართველს, ჩამომავალს იმ ფეოდალისას, რომელიც ვერ ალაგმა მეფემ და ვერც მეფის ზარბაზანმა დაარღვია იმისი ციხე-კოშკიო? თუ ეს სენი მართლა ახლაც სუფევს იმათ ჩამომავლობაში, მგონია, ისე არ უნდა ყოფილიყო საქმე, როგორც იყო მთელის წარსულ საუკუნის დასაწყისიდან დასრულებამდე და არც ისე უნდა იყოს, როგორც დღეს არის. ნუ დაივიწყებთ, რომ არ ასახელებთ არც მეფეს და არც ფეოდალს. რაკი ეს ასეა და ფეოდალთა ურჩობა მათ ჩამომავლობას სენად გადაედო, თუ არ გაგრძელდა ჩვენის დრამატურგის გ. ერისთავის ახალგაზრდობის ამბავი, სხვა სახით უნდა ეჩინა თავი. სხვა არა იყოსრა, სამშობლო ენის და სცენის სიყვარულით მაინც უნდა შეცვლილიყო, როგორც ეს მოხდა პოლონეთში. თუ თქვენ იგულისხმებთ «ღალატს» და სხვა არაფერს, უნდა საფუძვლიანად, ამასთან გულ-ახდით, გამოითქვას ის აზრი, რომ ყველამ იგრძნოს, შეიგნოს და დაინახოს.

ბ) როგორ უნდა გავიგოთ: «ახლანდელი საზოგადოებაც ხშირად იჩენს უძლურებას და ვერ გამოუცალკევებია(?) საკმაოდ ავტორიტეტით მოსილთ ჯგუფი საზოგადო საქმის განსაგებლად(?). ეს ის დიპლომატობა ხომ არ არის, რომელიც ლაღადებს. «კაცს მეტყველება აქვს მინიჭებული აზრის დასაფარავადაო».

გ) თუ «მწიგნობრობა და მწიგნობარი იყო იქ (დიდის მებატონის ოჯახში) დიდად პატივცემული», როგორ მოხდა, რომ ამავე ოჯახს «მივიწყებულად მიუგდია ის უპირველესი სამკაული, რომელსაც ეწოდება სული»? თუ საიქიო ცხოვრებაზედ არ არის აქ ლაპარაკი, თუ სულის საცხონებელ საშუალებაზედ არ უთითებთ, როგორ გავიგო: «მწიგნობრობა და მწიგნობარი მიყვარს და სული კი დავიწყებულია ჩემგან»? იქნება «მწიგნობრობა და მწიგნობარი» კი არ იყო პატივცემული დიდ მებატონის ოჯახში, არამედ თვით წიგნი იყო ისეთ ცხრა-კლიტულში ჩამწყვდეული, საიდანაც გამოტანის ნებას არც თავის თავს აძლევდა და არც სხვას ვისმე?

დ) ნუ თუ მართალია და უცვალებელი, რომ „თუ დღეს დედამიწაზედ კიდევ არსებობს კუთხე, რომელსაც სახელად საქართველო ეწოდება, თუ ამ კუთხეში კიდევ სახლობს ქართველი ერი, ეს არის თავად-აზნაურობის წყალობით, რომელსაც ჰქონდა ნაკისრი ჩვენის სამშობლოს დაცვის საქმე და რომელიც ამ საღმრთო ვალს ასრულებდა ისეთის თავგამოდებით, რომლის მსგავსიც ბევრი არ მოიპოვება მსოფლიო ისტორიაში“.

ნუ თუ ის არაგველები კრწანისის მინდორზე რომ დაიხოცნენ, სულ თავად-აზნაურნი იყვნენ? ნუ თუ მეფე ირაკლი მეII-სა, თამარ დედოფლისა, დავით აღმაშენებლისა, ბაგრატების, ვახტანგ გორგასლანისა და სხვათა მეფეთა დროინდელი ლაშქარი, რომელიც ხან 100 ათასამდე მიაღწევდა და რომლის რიცხვიც გარეშე მტრის წინააღმდეგ ზურგის ჯარითურთ 14 ათასზედ

# ფელეტონი

## ცოტა რამ საშუალო სკოლის შესახებ.

სწავლა-განათლების საქმე მთელს რუსეთის იმპერიაში, როგორც ეს არა ერთხელ აღვვინიშნავს «ივერიის» ფურცლებზე, ამ უკანასკნელ ხანში სრულიად განსაკუთრებულს პირობებში სწარმოებს. ძველი სწავლების სისტემა მოძველდა, ხოლო ახალი მუშავდება. საზოგადოება და მთავრობა ერთხმად საჭიროდ ჰპოვებენ სწავლა-განათლების საქმე სულ სხვა, გაუმჯობესებულ საფუძველზე დაამყარონ. მთავრობა და საზოგადოება ამ აზრის განხორციელების ცდაშია.

ახლად დანიშნულმა საერო განათლების მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა გლაზოვმა მხარი მისცა საზოგადოების კანონიერ მოთხოვნილებას სწავლა-განათლების საქმის უკედ მოსაწესრიგებლად და სამინისტროს ჩაბარებისათანავე მოიწვია პეტერბურგში ყველა სამოსწავლო ოლქების მზრუნველები, რათა პირისპირ გამოერკვიათ უმთავრესი საფუძველნი, რომელზედაც უნდა დამყარებულ იქმნას ახლო მომავალში უმაღლესის, საშუალო და პირველ-დაწყებითი სასწავლებლების კეთილ-დღეობის საქმე.

კრებამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა თვით საერო განათლების მინისტრი, უმთავრესი ყურადღება მიაქცია საშუალო სკოლის რეორგანიზაციის საქმეს.

დიდი ხანია, რაც მწერლობამ აღნიშნა ის სამწუხარო გარემოება, რომ საშუალო სკოლის ნაყოფიერებას ბევრად აფერხებს მასწავლებლების საფუძვლიანად მოუმზადებლობა. საშუალო სკოლის მასწავლებლებს სწავლა და ცოდნა უმეტეს შემთხვევაში არ აკლიათ, მხოლოდ სამწუხარო ისაა, რომ მარტოოდენ ცოდნა მასწავლებლებისათვის საკმარისი არაა. მასწავლებლის ცოდნას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა ამ ცოდნის გადაცემას მასწავლებელი ახერხებს. უამისოდ მასწავლებელი, თუნდაც მთელის ქვეყნიერების სიბრძნის პატრონიც იყოს, ვერ იმასწავლებლებს; თვითოეულ ჭეშმარიტ მასწავლებლისათვის აუცილებლად საჭიროა, გარდა თვით ამა თუ იმ საგნის ცოდნისა, პედაგოგიის და მისის ისტორიის ცოდნა, საგნის მეთოდისა და პედაგოგიურ-ფსიხოლოგიის ცოდნა. ყველა ეს საგნები აწინდელ საშუალო სკოლის მასწავლებლებისათვის უმეტეს შემთხვევაში სრულიად უცნობი ხილია. უნივერსიტეტი, რომელიც იძლევა საშუალო სკოლის მასწავლებლების უმრავლესს კონტინგენტს, ამ საგნების სწავლებას გვერდს უხვევს. ახლად კურს-დათავრებულს მასწავლებელს უნივერსიტეტში არა აქვს შესწავლილი ჩვენ მიერ დასახელებული საგნები და ამიტომ გასაკვირველიც არაა, თუ ასეთი მასწავლებელი ჭეშმარიტ მასწავლებლობის მძიმე ტვირს ასე ულაზათოდ და უნაყოფოდ ატარებს.

სამოსწავლო მზრუნველთა კრებამ მიაქცია ამ სამწუხარო გარემოებას ყურადღება და დასახა კიდევაც რამდენიმე საშუალებაც, რომლის განხორციელებაც, კრების აზრით, საშუალო სკოლის კეთილდღეობის საქმეს ბევრად ხელს შეუწყობს.

კრებამ თითქმის ერთხმად მოიწონა ის აზრი, რომ დაარსებულ იქმნას პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელშიაც შესვლის ნება ექმნებათ უმაღლესს სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ. სანამ ეს უმაღლესი სასწავლებელი დაარსდებოდეს, კრებამ საჭიროდ დაინახა უნივერსიტეტებში შემოღებულ იქმნას პედაგოგიის სწავლება. გარდა ამისა, საჭიროდ აღიარებულ იქმნა, რომ თვითოეულ სამოსწავლო ოლქებში დაარსებული იქმნას განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც დაევალება სამოსწავლო ასპარეზზედ მოღვაწეობის მსურველთა პედაგოგიურის ცოდნის შემოწმება.

განსაკუთრებულ სასწავლებლის დაარსება მასწავლებლების მოსამზადებლად, რასაკვირველია, ძლიერ კარგი საქმეა, მხოლოდ ამგვარის პედაგოგიურის ინსტიტუტის დაარსება აწინდელის სახელმწიფო ფინანსიურის მოსაზრების მიხედვით, მეტად საძნელო იქმნება და ამ აზრის განხორციელებისათვის ხანგრძლივი დრო და უფრო მეტი ნივთიერი საშუალებაა საჭირო; ჩვენი საშუალო სკოლები კი სულ ახლო მომავალში საჭიროებს ჭეშმარიტად მომზადებულს მასწავლებლებს.

უხერხულად მიგვაჩნია აგრეთვე თვითოეულ სამოსწავლო ოლქში დაარსდეს კრების მიერ განზრახული კომიტეტები, რადგან ასეთი კომიტეტები თავის პირდაპირ დანიშნულებას სავსებით ვერ მიაღწევს. კომიტეტში რომ მასწავლებლობის მსურველმა რიგიანად ეგზამენი დაიკავოს, საჭიროა, ასეთმა კანდიდატმა სამასწავლებლოდ საჭირო საგნები რომელსამე არსებულ სასწავლებელში საფუძვლიანად შეითვისოს, თუ სასწავლებლებში არა, საჭირო საგნების შეთვისება ყველასათვის ხელმისაწვდომი არაა. მაშასადამე, რა საშუალებით უნდა მოემზადნენ კანდიდატები საეგზამენოდ?

ესეც არ იყოს, დასახელებულ კომიტეტების მაგვარი კომისიები ამ ჟამადაც არსებობს თვითოეულ სამოსწავლო ოლქში ახალ ენების მასწავლებლობის უფლების შესაძენად, მაგრამ შედეგი ამგვარის კომისიების ნაყოფიერად მოღვაწეობისა, ყველასათვის ცხადზედ უცხადესია.

ჩვენის აზრით, ყველაზედ უფრო მოსახერხებელ და სადღეისო საშუალებად უნდა ჩაითვალოს კრების ის აზრი, რომელიც საჭიროდა სთვლის, რომ უნივერსიტეტებში დაარსებულ იქმნას პედაგოგიურ საგნების შესასწავლად განსაკუთრებული კათედრა.

რუსეთის პედაგოგების მამათ მთავარმა უშინსკიმ, დიდი ხანია მას აქეთ, რაც ამ აზრის განხორციელების აუცილებლობა საჭიროდ აღიარა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ობოლი და განმარტებული ხმა დღემდე «უდაბნოსა შინა» მღაღადებელ ხმად-ღა დარჩა. დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში პედაგოგიას განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩნეული სხვა და სხვა საუნივერსიტეტო საგანთა შორის. ბერლინის უნივერსიტეტებში ოთხი კათედრა არსებობს პედაგოგიურ საგნების სასწავლებლად. ერთი კათედრა აქვს მიჩნეული მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის სწავლა-განათლების ისტორიას, რომელსაც კითხულობს პროფესორი ლემანი. ჩვენშიაც კარგად ცნობილი

ნაკლები არა ყოფილა, სულ თავად-აზნაურობისაგან შესდგებოდა?

ნუ თუ საფრანგეთზედ გამარჯვება გერმანელთა თავად-აზნაურობას მიეწერება? მოგვეხსენებათ, ბისმარკი—მომხრე და თაყვანის მცემელი თავად-აზნაურობისა—იმ აზრისა იყო, რომ გამარჯვება სასოფლო სკოლაში გამოზრდილთ, ე. ი. გლეხებს, უნდა მივაწეროთო.

ე) თუ თქვენ უწინდელ ქართველ თავად-აზნაურობას აკუთვნებთ იმ როლს, რომელსაც ასრულებს აწინდელი აფიცრობა და მაინც მხოლოდ იმის მოღვაწეობის შედეგად სთვლით ქართველობისაგან მამულისა, ენისა, ზნე-ჩვეულობისა და სარწმუნოების დაცვას მე-XIX-ე საუკუნის დასაწყისამდე, მაშ იაპონელთა ყოფილი გამარჯვებანი, ჩვენს თვალ-წინ მომხდარნი, დაიმოსებსა და სამურაიებს უნდა მივაწეროთ, ვითომც არც ერთი გლეხი არ ერევებულა ლაშქარში.

თუ თქვენ სახეში გაქვთ თავად-აზნაურთა მოღვაწეობა მეზობელ ლეკთა და ოსთა წვრილ-წვრილ თარეშობის წინააღმდეგ, აქაც თავად-აზნაურნი უგლეხოთ ფეხს ვერ გადასდგამდნენ, რადგანაც, როგორც თქვენვე ამბობთ, «ამ დროს ჩვენში ესრედ წოდებული არა მაწარმოებელი კლასი ძლიერ მცირე იყო».

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ეს საკითხი გამორკვეულ იქმნას. საჭიროა, ბატონ-ყმობის დროინდელის თავად-აზნაურობის საქმიან-უსაქმურობის შეწონებით გავიგოთ, სამშობლოსათვის ზარალი უფრო მეტი მოჰქონდა თუ სარგებლობა ამ წოდებას?

ვ) თქვენ ამბობთ, «მაგალითიც არ ყოფილა, რომ ერთი სოფელი ერთი მებატონისა ყოფილიყოსო». ნამდვილად კი მარტო შიგნით კახეთშიაც არის ამის მაგალითები. სოფელი ნაფარეული თ. ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა, აწ საუფლისწულო უწყებას ეკუთვნის. არაგვის ერისთავს რამდენიმე სოფელი ეკუთვნოდა, აგრეთვე ქსნის ერისთავსა. ამასვე მოწმობს სახელები: საწულიკიძეო, საწერეთლო, წინამძღვრიანთკარი და სხვ...

ზ) თქვენ ბრძანებთ, «ჩვენს სოფლის ნაწარმოებს არ ჰქონდა გასავალი, არც შინა და არც გარეთ». ნუ თუ ასე დაახლოვებული მთა და ბარი, როგორც ჩვენშია, არა საჭიროებდენ მთიელნი ბარელთა და ბარელნი მთიელთ ნაწარმოებსა? რას ჰმოწმობენ ბაზრობანი ქართლში, კახეთში, იმერეთში მთების ახლო ზაფხულში და შემოდგომობით? რა დანიშნულება ჰქონდა შაჰ-აბაზისაგან დანგრეულ ქალაქ გრემს, «ბაზარ-ქალაქად» წოდებულს? რას მოწმობს აუარებელი ზღაპრები ბეზირგნებზედ? ნუ თუ ყველა ისტორიკოსთა თქმულება, რომ საქართველოზედ დაიარებოდა ქარავნები დასავლეთით მცხოვრებლებსა და ინდოეთს შორისო, სულ ტყუილია? ნუ თუ სიცრუეა, რაც ვიცით შავის ზღვის პირას მდებარე ქალაქებზედ და იქაურ ვაჭრობაზედ? ნუ თუ ყველა ამათ არც არა გაჰქონდათ და არც შემოჰქონდათ საქართველოში? როგორ უნდა შევათანხმოთ თქვენი ნათქვამი ვიქტორ ლანგლუას მიერ გამოცემულ ნუმიზმატიკურ კოლექციას, რომელშიაც ჩვენის მეფეებისაგან მოჭრილი ფულია, ბევრად წინა დროინდელი, ვიდრე მდინარე ოკისა და ვოლგის ხეობებში ხვნა-თესვას შეეჩვეოდნენ სლავიანები? რისთვის და ვისთვის იჭრებოდა ეს ფული?

რაც შეეხება მიწის მფლობელობის უფლებას, ეს საკითხი უნდა განგვიმარტონ ქრონიკების შემადგენელთ, სხვათა შორის, ბბ. თაყაიშვილმა და თ. ჟორდანიამ, რომელთაგანაც უკანასკნელს ამაზედ საკმაო მასალა აქვს შეკრებილი, როგორც მე პირადად მისგან გამიგონია. საჭიროა, რომ ქრონიკების შემადგენელთ გამოარკვიონ მიწის მფლობელობის უფლებასთან ბატონ-ყმობის დასაწყისი თავის მიზეზთა გარემოებით.

ნადიკვრელი.

---

# ლ ე ქ ს ე ბ ი

## ნაწყვეტი.

...ბარემ მოგეკალ... რაღას ვაქნევ ტაძარს შებღალულს?!
ან რით გამთელდეს გული, ერთხელ მოკლულ-ტანჯული?
ბინძურ სამყოფად, თურმე, გქონდა გრძნობის სავანე,
ოდეს მოგანდე წრფელად ჩემი გული და სული.

ქ—ხო.

---

## ხალხური.

(ნორიოში ჩაწერილი)

ნეტავ ის მამა-პაპანი,—
ნეტავ ვიცოდე, რა ქნილან?
ამა სოფლიდგან წასულან,—
ნეტავი რისთვის აყრილან?!
მოსიყვარულე ძმა-კაცნი
ნეტავი რისთვის გაყრილან?
ნასახლარები დაცლილან,—
ნეტავი რისთვის აყრილან?!

---

## ც რ ე მ ლ ე ბ ი.

მაღლა ცაში შეხვდა ერთმანეთს ორი სული და ასე დაიწყეს ლაპარაკი.

—მე დიდი სიკეთე ვუყავი კაცობრიობასაო,—თქვა ერთმა.

—მეცაო, უთხრა მეორემ.—რაში გამოიხატება შენი სიკეთე? ჰკითხა პირველმა.—მე გამოვიგონე ცრემლების მოსასპობი საშუალება. ეს საშუალება ავწერე სქელ წიგნში, რომელიც დავუტოვე კაცობრიობას. შენ რაღა გააკეთე?—მე შემოვიარე მთელი ქვეყანა და ვნახე დედამიწის ყველა უბედური, და ვისაც არ შეეძლო უკვე ტირილი, იგი ყველაზე უფრო იტანჯებოდა...—მერე რა მოიქმედე მათ საკეთილდღეოდ?—ავიღე და ცეცხლში ჩავაგდე შენი წიგნი!..

---

# რ უ ს ე თ ი

გაზეთ «რუს»-ის ერთი თანამშრომელი შემდეგს იუწყება 17 ოკდომბერს მომხდარ ინცინდენტის გამო: ასე, პირველი საათი იქნებოდა, როდესაც ყაზანის სობოროში შევედი; მლოცველებს ბლომად მოეყარათ თავი, მაგრამ მათ შორის ერთი მოსწავლეც კი ვერ შევნიშნე. ამავე დროს ნევის პროსპექტზე, სობოროს პირდაპირ, მრავლად მოეყარა თავი საზოგადოებას. საკურთხეველთან ახლო ვიდექი. უეცრად შევნიშნე, რომ ჩემს გვერდით მდგომს ერთს ახალგაზდა ქალს, როგორც აღმოჩნდა, კურსისტკას, ერთბაშად მივარდა ვიღაც უცხო კაცი და მუჯლუგუნების ცემით კარებისაკენ დაუწყო თრევა. ქალი დაფრთხა, ხმა მაღლა დაიკივლა, მაგრამ ამ გარემოებამ ვერავითარი ზედ გავლენა ვერ იქონია იმ ვაჟბატონზე დ მეორე ამხანაგის დახმარებით გასავალ კარებამდე მიათრიეს კურსისტკა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ამ წრეს გადასულ უწესოებისა და უმზგავსობის ჩამდენნი მეეზოვენი ბრძანდებოდნენ. იმ დროს, როდესაც ყმაწვილი ქალი თვალცრემლიანი ევედრებოდა გაშვებას, ერთი მათგანი იმდენად გაკადნიერდა, რომ საბრალო ქალს მძლავრად ჩაჰკრა თავში მუშტი და შეერთებულის ძალით გაათრიეს გარედ. იმავე დროს დაიჭირეს კიდევ მეორე ახალგაზდა ქალი, ისიც პირველივით თმა-შეკრეჭილი, ამას თან მიაყოლეს მესამე, მეოთხე და ამ ნაირად შეიპყრეს და გარედ გაათრიეს თითქმის 12 ახალგაზდა ქალი. სობოროს წინ მოედანზე მდგომმა პოლიციის აფიცერმა ბრძანება გასცა, არც ერთი მათგანი არ გაეშვათ და ყველა ერთად შეჰყარა ერთის მახლობელ სახლის ეზოში. როდესაც ერთს მეეზოვეს საყვედური გამოვუცხადე და გავჰკიცხე ამ ნაირის ქცევისათვის, მეც იმ წამსვე დამიჭირეს და იმ ეზოში მიკრეს თავი, სადაც დანარჩენი შეპყრობილი კურსისტკები იყვნენ. მართალი უნდა სთქვას კაცმა, «პატიმრობიდან» მალე გამანთავისუფლეს; როდესაც სობოროს მოედანს მივუახლოვდი, პეტერბურგის ქალაქის უფროსიც მოვიდა და თავაზიანის კილოთი სთხოვა საზოგადოებას დაშლა. ჩემს შეკითხვაზე: რა მიზეზი იყო, რომ მეეზოვეები სობოროში შემოცვინდნენ და ყოვლად უდანაშაულო ქალებს დაუწყეს ცემა-ტყეპაო, მეთქი, ქალაქის უფროსმა მთხოვა, უკან გამომყევითო, თან რამოდენიმე სტუდენტიც გაიყოლია და იმ სახლისკენ გაეშურა, სადაც დამწყდეული ქალები იმყოფებოდნენ; როდესაც ჩვენ იქ მივედით, ქალები უკვე გაეჩხრიკათ და მათი სახელი და გვარი სათითაოდ ჩაეწერათ წიგნებში. როგორც კი ქალაქის უფროსი დაინახეს, ქალები იმ წამსვე მივარდნენ და შესჩივლეს,—მეეზოვეთ უმაწყალოდ გვცემეს და თმით გვათრიესო. ორს მათგანს გულიც კი შეუღონდა. უცებ თვალი მოვკარ იმ კურსისტკას, რომელსაც ჩემს წინაშე სცემეს, და მისს შეურაცხმყოფელს მეეზოვეს; ამ უკანასკნელმა რა დაინახა, რომ ქალაქის უფროსს მასზე მივუთითე, ერთბაშად გაიწია და გაქცევა მოინდომა, მაგრამ ხელი ვსტაცე და დავიჭირე. ქალაქის უფროსის შეკითხვაზე, სცემე თუ არაო?—მეეზოვემ უპასუხა: „Никакъ нѣтъ!“-ო, მაგრამ ქალაქის უფროსმა მაინც უბრძანა. ჩაენიშნათ მისი სახელი და გვარი. შემდეგ მიუბრუნდა იქვე მყოფ დაჭერილ კურსისტკებს, გამოსთქვა მწუხარება მომხდარ ინცინდენტის გამო და ყველა გაანთავისუფლა. მოედანზე მისვლისათანავე უბრძანა პოლიციის მოხელეთ და ჟანდარმებს დაშლილიყვნენ. ამის შემდეგ ხალხიც ნელ-ნელა დაიშალა, ისე რომ პოლიციას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. (რუს.).

— ტვერის გუბერნატორი შირინსკი-შიხმატოვი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან. როგორც ამბობენ, იანვარში მოჰხდება ტვერის საგუბერნიო ერობის საზოგადო კრება.

— ოდესის ქალაქის უფროსს ნეიდგარდტს შინაგან საქმეთა სამინისტროში მოხსენება შეუტანია იმის შესახებ, რომ პასპორტის გაცემის აწ არსებული სისტემა თვალსაჩინოდ შეიცვალოს, გაუადვილონ მსურველთ მათი შეძენა და მკვიდრთათვის სავალდებულო ნუ იქმნებაო. ამ მოსაზრებას სამინისტროში მხურვალეთ შეჰგებებიან და, როგორც ამბობენ, საფუძვლად დაედება მომავალში ამ საკითხის გარჩევას და შემუშავებას.

— ქალ. ლოძსაც დაეტყო საერთო გაჭირვება და ფულის კრიზისი. განსაკუთრებით გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ მუშები, რომელნიც ულუკმაპუროდ დარჩნენ, მას შემდეგ, რაც ზედი-ზედ დაიხურა ადგილობრივი ქარხნები, სავაჭრო სახლები და საკომისიო-სააგენტოთა დაწესებულებები. თეატრებსა და სხვა გასართობებში ადგილები ნახევრად ცარიელია.

---

# ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ქალების განათლების შესახებ «ვესტ. ვოსპ.»-ას მოჰყავს აზრი სახელგანთქმულ პროფესორებისა და ევროპის უნივერსიტეტების რექტორებისა:

უმაღლესი განათლება სრულიადაც არასა ვნებს დედაკაცურს სინარნარესა და კდემა-მოსილებას; არც აძლებს და ხელს ადებინებს ბუნებრივს მოწოდებაზედ—ოჯახზედ; ამითი ურიგო მეუღლენი და დედანი არ შეიქმნებიან.

რაიცა შეეხება ქალებისა და კაცების ერთად სწავლას, ამაზედ იგივემეცნიერნი ამბობენ:

ერთად განათლების მიღება ორისავე სქესის წარმომადგენელთაგან ევროპის უნივერსიტეტებში ბევრნაირად კარგია და ხელ-საურელი, მხოლოდ ერთი დიდი ნაკლულევანება აქვს, რომელიც გაჰქრება მაშინ, როცა მომზადება ორისავე სქესისა გათანასწორდება.

დედაკაცნი ნაკლებ არა სწავლობდნენ უნივერსიტეტში მამაკაცებზედ. ეგზამენებზედაც იმათზედ ნაკლებად არ იყვნენ მომზადებულნი.

თუ საუნივერსიტეტო განათლებამ ჯერჯერობით არც ერთი გენიოსი არ დაჰბადა დედაკაცთა შორის, ის მაინც ჰქმნა, რომ მისცა დედაკაცებს დოხისძიება დაეჭირათ პატივსაცემი და დამოუკიდებელი ადგილები, რომელზედაც მშვენივრად ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას.

---

# თეატრი და ხელოვნება

25 წლის იუბილეი. სომხურ დრამატიულ დასის არტისტ-ქალს ქ-ნ ვარდუის ამ სეზონში უსრულდება 25 წელიწადი მას აქეთ, რაც ის სასცენო ასპარეზზედ მოღვაწეობს. ამ გარემოების აღსანიშნავად სომხურ დასის მსახიობთ განუზრახავთ გამართონ ხელის მოწერა და ნივთიერად უზრუნველ-ჰყონ ცოტათი მაინც სცენის დამსახურებული მუშაკი—იუბილიარი ქ-ნი ვარდუი.

---

## „ივერიის“ ფოსტა“

**ალ. ზ—ძეს რ—ძეს.** თქვენი ლექსი «ჩემი ადსარება» არ დაიბეჭდება. რაიცა შეეხება ეტიუდს, მის ამბავსაც მალე გაცნობებთ.

**პოლ. ირმთელს.** თქვენი ეტიუდი დაიბეჭდება.

**ბაჩელს.** გთხოვთ რედაქციაში შემოიაროთ, როცა მოახერხოთ.

**ა. უსტიაშვილს.** აცნობეთ გლეხს, სოფელ კუდოს მცხოვრებელს «ხვთისო» ჯარიას-ძეს ქისტაურს, რომ მის პოემას «მწარიას» რედაქცია სიამოვნებით დაჰბეჭდავს.

---

# დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

## დილის დეპეშები.

25 ოკდომბერი.

**მუკდენი.** (რეიტერი). გენერალი რენენკამპფი იუწყება 3 და 4 ოკდომბრის ბრძოლის შესახებ, რის შემდეგაც მას დაუხევია უკან.—იაპონელნი სუსტად მოქმედებენ, რუსები კი განუწყვეტლივ ესვრიან ყუმბარებს იაპონელთა პოზიციებსა.

**ლოვიჩი.** აქ შეჰკრიბეს შორეულ აღმოსავლეთში წასასვლელი ჯარები, რომელნიც ხელმწიფე იმპერატორს უნდა შეეგებნენ, რომ იმან დალოცოს. ხალხი აღტაცებით ელიან სათაყვანებელ მონარქსა.

**მუკდენი.** (რეიტერი). 25 ოკდომბერს მთელის ჯარების სადგომ ადგილზე არტილერიის ბრძოლა იყო. დღეს ხან გამოშვებით ისვრიან. ბრძოლის გაჩაღებას ყოველ წამს ელიან. ორთავე მხარე ელის თავდასხმას.

**შანჰაი.** (რეიტერი). აქაურ ინგლისელებში ხმა გავრცელდა, რომ იაპონიის სამხედრო გემი დასტაკებია ნაღმსა და გაშლილ ზღვაზე დაღუპულა პორტ-არტურის ახლო.

**ლონდონი.** (რეიტერი). კოლონიათა მდივანმა ლიტლტონმა წარმოსთქვა სიტყვა ლიმინგტონში და განაცხადა, გაზეთებისაგან გავრცელებული ტექსტი ინგლის-რუსეთის შეთანხმებისა ნამდვილი არ არისო, ამიტომ ურჩევს, ჯერ ამ საგნის შესახებ სჯა-ბაასი შესწყვიტონ, მანამ ნამდვილი ტექსტი გამოცხადდებოდეს.

**ბელგრადი.** სერბიის ჯუფთნი პირველად შეეყარნენ ოსმალეთის ჯარებს გრიგოლის უფროსობით ველესთან, რამაც აქ დიდი ალიაქოთი გამოიწვია.

---

პედაგოგი და პროფესორი პაულსონი პედაგოგიის კათედრას აწარმოებს. ორიც განსაკუთრებული კათედრა მიჩნეულია სწავლა-განათლების და პედაგოგიის უმთავრეს საფუძველთა კითხვების გამოსარკვევად. ამ კათედრებს ხელმძღვანელობენ პროფესორნი მინშე და დერინგი.

რუსეთშიაც რომ ასეთი წესი იქმნებოდეს შემოღებული,—პედაგოგიურ საგნების სწავლება უნივერსიტეტში რომ დაწესდებოდეს,—სულ მოკლე მომავალში არა ერთი და ორი ჭეშმარიტად მომზადებული მასწავლებელი საშუალო სკოლის კარებს შუბლ-გაშლილად მიეხმაურება. საქმის ეგრედ მოგვარება ფინანსიურის მხრითაც უფრო ადვილად მოსახერხებელი გახდება.

მზრუნველთა კრებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალის ენების სწავლების უკეთ მოწყობისა და საზოგადოთ მასწავლებლებთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეს.

ახალის ენების სწავლება აწინდელს საშუალო სკოლაში აქამომდე ძლიერ ცუდად სწარმოებდა. ყმაწვილი გიმნაზიას ათავებდა და, სამწუხაროდ, ზოგჯერ გერმანულისა და ფრანგულის კითხვას ხეირიანადაც ვერ ახერხებდა, მიზეზი ამ სამწუხარო გარემოებისა მრავალი იყო. პირველი ის, რომ სამინისტრო ამ ენების სწავლებას დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა. მასწავლებელმა ფრანგულისა და გერმანულის ლაპარაკი თუ კი იცოდა, ეს სრულიად საკმარისი იყო. ახალის ენების შესწავლას, ჩვენის შეხედულობით, აზრად ის კი არ უნდა ჰქონდეს, რომ ყმაწვილმა ლაპარაკი შეითვისოს. ლაპარაკის შეთვისება, რასაკვირველია, კარგია, მხოლოდ უმთავრესი საგანი ახალის ენების სწავლებისა ის უნდა იყოს, რომ ყმაწვილმა ამა თუ იმ ახალის ენის საშუალებით შეისწავლოს თვით იმ ხალხის ზნე, ჩვეულება და კულტურა, რომლის ენასაც იგი შვიდი-რვა წლის განმავლობაში სწავლობს. თუ ასეთი დანიშნულება არ მიეცემა ახალის ენების სწავლებას საშუალო სკოლაში, ყოველივე ხარჯი და მეცადინობა ამ ენების უკეთ მოსაწესრიგებლად ამაოდ ჩაივლის.

ჩვენ არ ვიცით, საერო განათლების სამინისტრო რა აზრს დაადგება, როგორ დანიშნულებას მისცემს ახალის ენების სწავლებას საშუალო სკოლაში, მხოლოდ ის კი აშკარაა, რომ მზრუნველთა კრებას განუზრახავს ყოველ წლივ გზავნოს საზღვარ გარედ უმაღლესად კურსდამთავრებულნი უცხო ენების შესასწავლად და შემდეგ მათ ჩააბაროს ახალის ენების სწავლება. ეს ზომა ფრიად სასარგებლო ზომად გამოდგება და დარწმუნებული ვართ, რომ სათანადო ნაყოფსაც გამოიღებს.

რაიცა შეეხება მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს, ეს საკითხი მეტად საჭირბოროტო საგნად გარდაიქცა.

საერო განათლების სამინისტრო აწინდელის შტატების მიხედვით მასწავლებელთა შრომას ძლიერ მცირედათ აჯილდოვებს.

აწინდელის შრომის ჯილდო მასწავლებელს არ აკმაყოფილებს, იგი მუდამ სკოლის გარეშე კერძო შრომას ეწევა, რომ ნახევრად მაინც დააკმაყოფილოს თავისი უსაჭიროესი მოთხოვნილებანი. სწორედ ესაა უმთავრესი მიზეზი, რომ მასწავლებელი სკოლას გაურბის და სხვა უწყებაში ეძებს თავშესაფარს. ჩვენ თავის დროზე მკითხველებს წავუდგენთ სტატისტიკურს ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ გაურბიან მასწავლებლები სკოლას ნივთიერად შევიწროვების გამო კავკასიის სამოსწავლო ოლქში, მაგალითად,—არა ერთი და ორი თავისუფალი ადგილია ამჟამად მასწავლებლისა, მაგრამ ამ ადგილის მიღების მსურველი არსადა სჩანს.

მასწავლებლის შრომა მეტად ძნელი და სამძიმოა, მაშასადამე, სათანადო ჯილდოსაც მოითხოვს. მასწავლებელი ისე უნდა იყოს ნივთიერად უზრუნველ-ყოფილი, რომ იგი გარეშე სკოლისა ცხოვრების სალსარს არ უნდა დაეძებდეს.

გერმანიის გამოჩენილი პედაგოგი ლორენც კელნერი თავის ერთ-ერთს თხზულებაში მასწავლებელთა ნივთიერად გაუმჯობესობის შესახებ ამბობს: „ვინც სკოლისათვის იღვწის და სცხოვრობს, იგი სკოლიდანვე უნდა სცხოვრობდესო“. გერმანელ პედაგოგის აზრი მეტად ნათელი და ჭეშმარიტია, ამას მეტი განმარტება აღარ ესაჭიროება.

მზრუნველთა კრებას გამოუთქვამს სურვილი, მასწავლებლების ნივთიერი მდგომარეობა საჭიროა გაუმჯობესდესო. კეთილი სურვილია, თუ კი, რასაკვირველია, ეს სურვილი სურვილადვე არ დარჩება.

საშუალო სკოლის ტიპის შესახებ კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ დაცულ იქმნას სავსებით 15 მარტს 1902 წ. უმაღლესად ნაბოძებ რესკრიპტში განმარტებული სახელმძღვანელო აზრები საშუალო სკოლათა რეორგანიზაციისა, ხოლო სწავლების საქმე ისე უნდა სწარმოებდეს, რომ საშუალო სკოლამ მოწაფეებს ჩაუნერგოს ღრმად გულში ერთგულება სარწმუნოებისა, ტახტისა და სამშობლოსადმიო. რომ საშუალო სკოლამ ეს აზრი სავსებით განახორციელოს, კრებას განუზრახავს, დაარსებულ იქმნას პანსიონები და ინტერნატები, რომელიც უკვე მოწყობილ უნდა იქმნას; შეგირდებთან ვამართონ სჯა-ბაასი ლექტორების შემწეობით სხვა და სხვა სასარგებლო საგნების შესახებ; სკოლასა და მშობელთა შორის დამყარდეს მჭიდრო კავშირი და საშუალო სკოლაში შემოღებულ იქმნას კანონმდებლობის სწავლება.

აი, ყველა ის განზრახვანი, რომელიც მზრუნველთა კრებას საკეთილოდ მიუჩნევია საშუალო სკოლის უკეთეს საფუძველზედ დასამყარებლად. ყველა დასახელებული ზომები, რასაკვირველია, მხოლოდ განზრახვანია, მათი განხორციელება მომავლის საქმეა. ამიტომ, ვფიქრობთ, მწერლობაც თავის აზრს და შეხედულებას გამოსთქვამს ასეთის დიდ-მნიშვნელოვანის საქმის შესახებ, რაიცა, რასაკვრელია, დიდის მადლობით იქმნება მიღებული საერო განათლების სამინისტროსაგან, როგორც საჭირო მასალა საქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის.

ა. ყუმისთაველი.

საზოგადო აზრია, რომ სერბიისა და ბულგარიის კომიტეტები შეერთდებიან. სამხედრო მინისტრი სამსახურს თავს ანებებს ავადმყოფობისა გამო. ამ ამბავმა საძნელოდ გახადა ახალის მინისტრის არჩევა, რადგან ლაშქარში უსიამოვნებაა ჩამოვარდნილი.

**აბო.** სასამართლომ დაადგინა, 23 ნოემბრამდე გადაიდოს შაუმანის საქმე, ხოლო თვით შაუმანი ციხიდგან გაანთავისუფლეს.

**ლონდონი.** (რეიტერი). იაპონიის ახალი ექვს პროცენტიანი ვალი 12 მილიონ გირვანქისა ხვალ ან ზეგ გამოიცემა ამ ფასში: $90^1/_2$. ნახევარი ლონდონში და ნახევარიც ნიუ-იორკში.

27 ოქდომბერი.

**პეტერბურგი.** გენერალ სახაროვის დეპეშა, 26 ოკდომბრის თარიღით: «25 ოკდომბერს, გათენებიდანვე, მოწინავე ნაწილებმა მტრისამ სატევი მოქმედება დაიწყეს და უკან დააწევინეს ჩვენს სადარაჯო რაზმსა, რომელიც იდგა ჯონ-ტანხენანთან, აღმოსავლეთად დაიჭირეს სოფლები უტიაზი, ერტაიზი და პაუსენტუნი. ჩვენმა რაზმებმა, ცხენოსანთა და არტილერიის შემწეობით, მტერი გამოდევნეს იმ სოფლებიდან და კვლავ აღადგინეს მცველობა იმ ადგილებისა. სხვა ადგილებზე ზარბაზნებს ვესროდით და მტერს ხელს ვუშლიდით თხრილების გაკეთებაში. 26 ოკდომბერს შეტაკებაზე ცნობები არ მოგვსვლია.

სალამოს დეპეშები.

27 ოკდომბერი

**შანჰაი,** 26 ოკდ. (რეიტ.). ოფიცრები და კომანდა ნაღმოსან „რეშიტელნისა» გადაიყვანეს საგზირო გემ «მანჯურზე». უფროსმა მოახერხა და ბუზურს წავიდა. ჰგონებენ, რომ გერმანიის საფოსტო მატარებლით ევროპაში წავიდაო.

**პორტ-საიდი,** 25 ოკდ. (რეიტ.). ქაირიდან მოვიდა რუსეთის მთავარი კონსული და საზღვაო აგენტი. მოლაპარაკება ჰქონდათ აქაურ კონსულთან 12 საათიდან საღამომდე. არა-ჩვეულებრივი ღონისძიებანია მიღებული აქ მოსულ გემების დასაცველად. ცალკე კაცებს იჯერენ, რომ ყური უგდონ ნაპირებიდან გემებს.

**ბერლინი.** «ნორდ დოიჩე ალგემ ცაიტ»-ი ამბობს, რომ უცხოელ გაზეთების ნაუწყები ვითომ რუსეთის მთავრობა გააფრთხილა გერმანიამ ფრთხილად იყოს ბალტიის ესკადრა და ერიდოს თავდასხმას, ნაღმსა და სხვა ამისთანა ასაფეთქებელ იარაღსაო, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

**ბელგრადი.** ოფიციალურად უარჰყოფენ, ვითომც სამხედრო მინისტრმა სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი წარადგინა.

**ბერლინი,** 26 ოკდ. (ვოლფი). როცა ჩვენება ჩამოართვეს სათევზაო გემ «ზანქტაგის» უფროსს, ეს ამბავი აუწყეს რუსეთის მთავრობას. მთავრობა სიამოვნებით დასთანხმდა, გამოძიებას დაუყოვნებლივ მოვახდენ და აღვუდგენ გემს ზარალსაო. ამ გემს, როგორც ნაუწყები იყო, რუსეთის სამხედრო გემებმა ყუმბარები დაუშინეს გზად გავლის დროს.

**ტოკიო,** 26 ოკდ, (რეიტ). არა-ოფიციალურ ცნობათა თანხმად, იაპონიის გარშემოდგომილ ჯარის მოქმედება თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ მაინც წინ-წინ მიდის. თიხნარი და კლდიანი ნიადაგი ხელს უშლის საპიორებს. ახლა მიხვდნენ, რომ ერლუშანისა და აღმოსავლეთ ცზიგუაშანის აღება საკმარისი არ არის უანძუშანიძუშანოთ. უამისოდ ვერ აიძულებენ რუსებს დაეცალათ შიდა ქალაქი და გადაეცათ იაპონელთათვის. შახედან მოსულ ცნობათა თანხმად, მო-პირის პირე ლაშქარნი ამაგრებენ თავიანთ საფარ-სანგრებს შახეს ნაპირებად და გაძლებით ემზადებიან ახალ დიდ ბრძოლისათვის. მზვერავთა რაზმნი გამუდმებით ჰხვდებიან ერთმანერთს. ხშირია მოწინავეთა შებრძოლებაც. ნაკლებად-კი სჯერათ, რომ დიდი ბრძოლა ახლო-მომავალში დაიწყოს. ამბობენ, რომ რუსების ახალ ჯართა მოყვანის საქმე კარგად არის მოწყობილიო. ჯარიცა და არტილერიაც დაუბრკოლებლივ მოდის, რათა შეავსოს ზარალი, რომელიც მოუვიდა რუსეთს შახესთან.

**შანჰაი,** 26 ოკდ. (რეიტ.). ხმა დადის, რომ ჩინეთის დიდი მოხელე მოკლულ იქმნა იაპონელთა მიერ 20 ოკდომბერს შახეპუსა, რადგან შეუპყრიათ ჯაშუშობის დროს. მოხელე ჯაშუშობდა თურმე, როგორც ამბობენ, გენერალ-გუბერნატორის ბრძნებით.—მუკდენის პროვინციაში რამდენიმე ათასი მეამბოხე კაიფინს მისულა. ხუნანში ტელეგრაფის მავთულები გაუფუჭებიათ ათის მილის მანძილზედ. ბრბო კარგად არის შეიარაღებული. შიშობენ, დიდი უწესოება არა მოჰხდეს-რაო.

**ნიუ-იორკი.** რუზველტი იქმნა არჩეული პრეზიდენტად დიდის ხმის უმეტესობით.

**ჩიფუ.** (რეიტ.). ნოგიმ მოისმინა ნაამბობი ტყვედ შეპყრობილ რუსის ჯარისკაცისა და მისის მიხედვით შეადგინა წერილი მეციხოვნეთა შორის გასავრცელებლად. წერილში მოხსენებულია, რომ კუროპატკინი სულ უკან უკან იხევს და უძლურია ოიამას წინაშეო. ბალტიის ესკადრა მხოლოდ ახლა გაემართა შორეულს გზასაო. დასასრულ, მეციხოვნეთა ყურადღება მიქცეულია იმაზედ, რომ იაპონელთა საფარ-სანგარნი სულ წინ-წინ მოიწევსო. დიდს ყურადღებას მივაქცევთ, ვინც დაგვნებდებაო. რამდენიმე პირი წერილისა, რომელიც რუსულად არის დაწერილი, თვით ტყვეს მიეცა. ტყვე 22 ოკდომბერს დაბრუნდა თავისიანებთან და იმავ ღამეს უკან წამოვიდა, ჯარები ისეთ გუნებაზეა იქაო, რომ თუმცა დიდს გაჭირვებაში არიან, მაინც ახლო არ იკარებენ იმ აზრს, რომ დაჰნებდნენ მტერს.

**ჩიფუ,** 27 ოკდომბ. (რეიტერი). შესწყდა იერიში პორტ-არტურისა. ზარბაზნების გამაგრებას აღებულ სანგრებზე დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან რუსთაგან დიდი სროლა ატყდება ხოლმე.—«ბაიანი» მძიმედ დააზიანა ხუთმა დიდმა ყუმბარამ რეიდში.

**ტოკიო,** 25 ოკდ. (რეიტ), გათავდა ხელის-მოწერა მამხედრო სესხზედ. როგორ ხმა არის, ხელის-მომწერთა ფული სამჯერ მეტია იმაზედ, რაც საჭიროა მთავრობისათვის სასესხებლად.

**ნაგასაკი.** 23 ოკდ. (რეიტ.). ხიროშიმიდანა, სიმონოსეკიდანა და მონჯიდან გაიგზავნა დალნის ნოგის ლაშქარში 40,000 კაცი. ამათ უნდა გააძლიერონ ნოგის ჯარი, რომელსაც დიდი ზარალი მოუვიდა მიკადოს დაბადების დღეს. ეს ზარალი 20,000 კაცამდე იქმნება.

**პორტ-საიდი.** რუსეთის მთავარა კონსული მოელაპარაკა სუეცის არხის გამგებელს და მთავარ აგენტს. კონსული დაამშვიდეს, ინგლისის ფლოტის ფიქრი არ არისო. დამშვიდებული კონსული ქაირს გაემართა.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

### პეტერბურგის ბირჟა

26 ოკდომბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,60 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,85 |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,25 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | $37,52^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი | $6—7^1/_2\%$ |
| 4% სახელმწიფო რენტა | $91^7/_8$ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 89 მყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 416 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 318 ნ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | $266^1/_4$ წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| $4^1/_2\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. | $89^5/_8$ ნ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

---

### სახალხო ბიბლიოთეკები.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა».

**ტ ფ ი ლ ი ს შ ი:**

1) სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში. ღია არის
დილის 10—2 საათ.
საღამ. 5—7 „
კვირა-უქმეს—დილ. 11—1 „

2) ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131. ღია არის
დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—9 „

3) ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19
ღია არის დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—8 „

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 15 ოკდომრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისის).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს:** სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); ამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**ბ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

**გ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

---


# განცხადებანი

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: **книжная торговля Іос. Зах Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.**

## ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს.

(0—უ—1).

---

## ახალი გამოცემანი

1) **იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა ი. გოგებაშვილისა, მეოთხე გამოცემა, მეთორმეტე ათასი, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად. ვინც ოცობით—სამ კაპეიკად.

2) **ბურჯი ეროვნებისა,** მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—15 კაპეიკად.

3) **Къ вопросу о мингрельской школѣ,** მისივე, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

4) **Правда о Тифлисѣ,** მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

5) **Какъ поднять Кавказкую народн. школу,** მისივე, ფასი ექვსი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 24 კაპეიკად, ვინც ოცობით—22 კაპეიკად. (5—5).

---

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია **„ცოდნა“**-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: **Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.**

(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

---

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—24)

---

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილი' 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

## ლალპჭი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წინგნი დაეთმობა ორ აბაზად,

აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

---



## სწორედ მუქთია,



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მეშის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალი ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა. ფულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუკი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** ნ6 პრობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პოტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიპიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—3)




Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи